პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 21 (6582)

30 იანვარი, ოთხშაბათი 1980 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ და მიიღო დადგენილება, რომელშიც კერძოდ აღნიშნულია, რომ ბოლო დროს რესპუბლიკაში შეიმჩნევა გარკვეული წინსვლა მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მხრივ. საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სპორტული კლუბების რაოდენობა 1977 წელთან შედარებით 1979 წელს ორმაგად გაიზარდა. ამჟამად მოქმედი 731 სპორტული ბაზიდან 200-ზე მეტი აშენდა და მოეწყო ბოლო ორ წელს. შესამჩნევად გაუმჯობესდა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ბავშვთა და მოზარდთა შორის. დიდი პოპულარობით სარგებლობენ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ჩატარებული მასობრივი შეჯიბრებები დევიზით: „ოლიმპიელები ჩვენს შორის“, „იმედის სტარტები“, „ტყავის ბურთი“, „თეთრი ეტლი“ და სხვ. გაძლიერდა სპორტსაზოგადოებების მიერ როგორც ცალკეული სპორტკლუბების, ისე საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებისადმი გაწეული საშეფო დახმარება სხვადასხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების ჩატარებაში, შესაბამისი ინვენტარის, აღჭურვილობისა და სპორტული ფორმის შეძენაში.

ამავე დროს მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, როგორც თავისი გაქანებითა და მიმართებით, ისე სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის გამოყენების მხრივ, ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მაღალ მოთხოვნებს. ფიზკულტურა და სპორტი ჯერჯერობით ნელა ინერგება რესპუბლიკის თითოეული ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში. საკმარისია ითქვას, რომ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში ჩაბმულია მხოლოდ 45642 კაცი, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობის ერთ პროცენტზე ნაკლებია.

ასეთი მდგომარეობა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, ფიზკულტურული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კომუნისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის, როგორც ერთ-ერთი ქმედითი საშუალების შეუფასებლობის შედეგია. ისინი ჯერ კიდევ არ იჩენენ სათანადო დაინტერესებას ჯეროვანი პირობებისა და მატერიალური ბაზის შექმნის საქმეში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის, კერძოდ, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში ჩასაბმელად, აგრეთვე მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად.

ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში რუსთავსა და გორში, რესპუბლიკის ბევრ სასოფლო რაიონში. დამახასიათებელია, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის 93 პარტიული კომიტეტიდან მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მდგომარეობის საკითხი ბიუროს სხდომაზე განიხილეს მხოლოდ 20 ქალაქკომსა და რაიკომში.

ბევრი სპორტული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობს საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობასთან მასობრივ-ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ მუშაობას. მაგალითად, ეს საკითხები ერთხელაც არ განუხილავთ ქალაქების — ბათუმის, ცხინვალის, წყალტუბოს ფიზკულტურის კომიტეტებს, რომ არაფერი ვთქვათ რესპუბლიკის ბევრ რაიონულ ორგანიზაციაზე.

რესპუბლიკის მთელ რიგ რეგიონში მოსახლეობას შორის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზების საკითხი თვითდინებაზეა მიშვებული. არადამაკმაყოფილებლად იყენებენ ბუნებრივ კლიმატურ პირობებს (ტყეპარკები, წყალსაცავები და ა. შ.).

რესპუბლიკაში აქამდე არ შექმნილა ჯანმრთელობის კომბინატი, მაშინ როცა ქვეყანაში მსგავსი ორგანიზაციების მუშაობის დაგროვილი გამოცდილება ცხადყოფს თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისინი როგორც საყრდენი პუნქტები მოსახლეობის ფართო მასებს შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლაში.

არადამაკმაყოფილებელია მარტივი ტიპის სპორტული ბაზების მშენებლობა. აჭარის ასსრ-ში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში — ტყიბულში, ჭიათურაში და მთელ რიგ სხვა ადგილებში დიდი საცხოვრებელი მასივები და მიკრორაიონები ხშირად სპორტული ნაგებობების გარეშე შენდება, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 აგვისტოს დადგენილების დარღვევაა. არცთუ იშვიათად არადანიშნულებისამებრ იხარჯება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის განკუთვნილი ბინის ქირის ანარიცხები. ხანდახან კი მათ სრულად ვერ ითვისებენ. სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომები, საქართველოს კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და ადგილებზე მისი ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად აკონტროლებენ საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების პედაგოგ-ორგანიზატორთა საქმიანობას მოსახლეობასთან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში. სათანადო დონეზე არ დგას პედაგოგ-ორგანიზატორთა კვალიფიკაციის ამაღლება.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლეს სასწავლებელთა ფიზიკური აღზრდის კათედრები ჯეროვან დაინტერესებას არ იჩენენ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარებისთვის ორგანიზაციული და მეთოდური დახმარების გაწევის საქმეში.

საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობაში მასობრივ-სპორტული მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას სუსტ პროპაგანდას უწევენ რესპუბლიკისა და ადგილობრივი პრესა, ტელევიზია და რადიო. ამ საკითხებს ძალზე სუსტად აშუქებს გაზეთი „ლელო“.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სპორტულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა მნიშვნელოვან სოციალურ ამოცანად უნდა გაიხადონ საცხოვრებელი

(დასასრული მე-2 გვ).

# აშშ-ს პროვოკაციული ინტრიგების წინააღმდეგ

**სან-ფრანცისკო.** აშშ-ის პრეზიდენტის კარტერის ცდის, გამოიყენოს სპორტი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის, წინააღმდეგ გამოვიდა აშშ-ს მძლეოსან ქალთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი კენ ფორმენი. ცდილობენ ამერიკელი სპორტსმენები გამოიყენონ როგორც „პოლიტიკური პაიკები“. მაგრამ, იმის მიუხედავად, მივიღებთ თუ არა ჩვენ მონაწილეობას, ოლიმპიური თამაშები მოსკოვში მაინც გაიმართება, — თქვა ფორმენმა. — თუ ჩვენი სპორტსმენები, ვერ მიიღებენ მონაწილეობას თამაშებში, ეს აშშ-ს სამოყვარულო სპორტისთვის დიდი დანაკლისი იქნება.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ცნობით 21 საერთაშორისო სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელები მხარს უჭერენ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რომ 1980 წლის ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს მოსკოვში და უარჰყვეს წინადადება სხვა ქვეყანაში მისი გამართვის თაობაზე.

**მადრიდი.** „საბერძნეთი ოლიმპიური იდეის ერთგულია და ბოიკოტს არ გამოუცხადებს მოსკოვის ოლიმპიადას“. — განაცხადა მადრიდში გამართულ პრეს-კონფერენციაზე საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გეორგიოს რალისმა.

**დუბლინი.** ირლანდიის ლეიბორისტული პარტია მხარს უჭერს ირლანდიელ სპორტსმენთა მონაწილეობას მოსკოვის ოლიმპიადაში. — ხაზგასმითაა აღნიშნული ამ პარტიის ოფიციალურ განცხადებაში.

ირლანდიელი სპორტსმენები მოსკოვში 13 ივლისს გაფრინდებიან. — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ირლანდიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დესმონდ ო'სალივანმა. — ჯერჯერობით კი ქვეყნის სპორტსმენები იბრძვიან ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრად. გუნდი, რომელიც მოსკოვში გაემგზავრება, იქნება ყველაზე წარმომადგენლობითი წინა ოლიმპიადებთან შედარებით.

— ეჭვი არ მეპარება, რომ მოსკოვის ოლიმპიადა ნათელ კვალს დატოვებს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში და იქნება ჭეშმარიტად მსოფლიო სპორტული ზეიმი, — ხაზგასმით აღნიშნა მან. — ირლანდიელ სპორტსმენებს არ სურთ, რომ პოლიტიკური მოღვაწენი ერეოდნენ სოკ-ის საქმეებში. აშშ-ს პრეზიდენტის პოლიტიკას, რომელიც ცდილობს განხეთქილება შეიტანოს ოლიმპიურ მოძრაობაში, მკაცრად კიცხავენ მთელი მსოფლიოს სპორტსმენები.

**ტოკიო.** იაპონიის სოციალისტურმა პარტიამ მოწოდებით მიმართა მთავრობას, რომ პატივი სცეს ოლიმპიურ ქარტიას და თავი შეიკავოს ნებისმიერი პოლიტიკური ჩარევისაგან ოლიმპიური თამაშების საკითხში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებულია, რომ მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხი არ უნდა დაუკავშირდეს პოლიტიკას; იაპონია უნდა მიჰყვეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებებს. (საკდესი).

## ● აფროსნობა

# სხვისი იახტით

**პუერტო-რიკოში** გამართულ აფროსანთა მსოფლიო ჩემპიონატით გაიხსნა სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა სეზონი. მართალია, ამ შეჯიბრების ჩატარების დრო ხელს არ აძლევდათ იახტსმენთა უმრავლესობას, მაგრამ ოლიმპიური თამაშებისთვის თადარიგის დასაჭერად სპორტსმენებმა მზადების თავიანთი ჩვეული გრაფიკი დაარღვიეს.

ამ ჩემპიონატმა 13 ქვეყნის 38 იახტას მოუყარა თავი.

„სოლინგის“ კლასში ოქროს მედალი მოიპოვა კანადელ გ. დემსტერის ეკიპაჟმა.

ამ კლასში შარშანდელმა ჩემპიონმა, ამერიკელმა რ. ჰეინსმა II ადგილი დაიკავა. მისმა თანაგუნდელმა ბ. მელჯესმა — III.

საბჭოთა იახტსმენები ამ სახეობაში არ გამოდიოდნენ.

იმავე დღეს, როცა „სოლინგებმა“ რბოლა დაამთავრეს, ოკლენდში (ახალი ზელანდია) სტარტი აიღო კატამარან „ტორნადოთი“ მრბოლელთა მსოფლიო ჩემპიონატმა. პირველ რბოლაში საუკეთესო იყო ცოლ-ქმარი ვერნერ და ირმგრად ფიალას (გფრ) წყვილი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონები, საბჭოთა სპორტსმენები ვ. პოტაპოვი და ა. ზიბინი იძულებულნი გახდნენ სხვისი იახტით გამოსულიყვნენ რბოლაში — მათ მიერ შვეიცარიელთა გუნდისაგან იჯარით აღებულმა კატამარანმა, რომელიც გფრ-დან გემით გამოგზავნეს, დააგვიანა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა სპორტსმენებმა VII ადგილი დაიკავეს. (საკდესი).

## ● კრივი

# მასპინძლობს თბილისი

**დღეს** თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. ეს ამ ქვეყნების ნაკრები გუნდების რიგით მე-13 შეხვედრა იქნება.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად გამოვლენ ქართველი მოკრივეები — დ. კვაჭაძე, ა. ხიზანიშვილი და მ. თაქთაქიშვილი.

შეჯიბრება 19 საათზე დაიწყება.

* * *



სურათზე. აშშ-ს მოკრივეთა ნაკრები გუნდი თბილისის აეროპორტში.

გ. ჩიხლაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

დასასრული

ადგილების მიხედვით მოსახლეობასთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი განვითარება, როგორც საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის, მათი ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დაცვის, შრომისუნარიანობის ამაღლებისა და სამშობლოს დაცვისთვის მზადყოფნის მნიშვნელოვანი საშუალება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის ამაღლებისათვის საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ დამატებითი ზომები. საქართველოს პროფსაბჭომ, კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სპორტკომიტეტმა, რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 1980 წლის I კვარტლის ბოლომდე შეიმუშაონ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარების კონკრეტული გეგმები. მათში გათვალისწინებული უნდა იქნას სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების ღონისძიებები, ამასთან გამოყენებულ იქნას საწარმოთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კომუნალური დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების სახსრების კოოპერირება. წაახალისონ და ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი საზოგადოებრივი ძალებით მარტივი ტიპის სპორტულ ნაგებობათა შექმნას. სხვადასხვა მასობრივი სპორტული შეჯიბრების გამართვით უზრუნველყონ მშდ კომპლექსის საფუძველზე ფიზკულტურასა და სპორტში არამარტო ახალგაზრდობის, არამედ საშუალო და უფროსი ასაკის პირთა ფართო ჩაბმა.

ოლქების, ქალაქების, რაიონების სოციალური განვითარების გეგმებში შეტანილი უნდა იქნას სპეციალური განყოფილება „საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა" და გათვალისწინებული იქნას შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ევალება აამაღლოს კომკავშირის კომიტეტების პასუხისმგებლობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის განვითარებაში კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობისთვის; მიაღწიოს, რომ ყოველი პიონერი, კომკავშირელი, ჭაბუკი თუ გოგონა გახდეს მშდ ნიშნოსანი.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა სპორტული კლუბების შექმნა და მუშაობა მათი პიონერული და კომკავშირული რომანტიკით, ცნობილ სპორტსმენთა შეფობით, ფიზიკური აღზრდის სფეროში დამრიგებლობის ფართო გავრცელება, მარტივი ტიპის სპორტულ ნაგებობათა კეთილმოწყობისთვის კომკავშირულ-ახალგაზრდული შაბათობები — ყველაფერი ეს კომკავშირის, მისი ყოველი რაზმის კონკრეტულ საქმედ უნდა იქცეს.

საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საბჭოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მშრომელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საცხოვრებელ კვარტალებსა და მასობრივი დასვენების ადგილებში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლაზე. შექმნან სექციები ბავშვთათვის, მოზარდთა და მშრომელთათვის ხელმისაწვდომ სპორტის სახეობაში, ამ მიზნით მიიზიდონ სპორტის ვეტერანები, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები, ფიზკულტურის აქტივისტები, რეგულარულად ჩაატარონ მასობრივი შეჯიბრებები და სპორტული დღესასწაულები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტებმა, საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 1981-1985 წლებში უნდა განახორციელონ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საცდელ-საჩვენებელი კომპლექსების (კომბინატების) დაპროექტება და მშენებლობა ქალაქებში სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, გორსა და ჭიათურაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოყოს ლიმიტი ზემოხსენებული კომპლექსების დასაპროექტებლად.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად განსაზღვროს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების სტრუქტურა და შტატი. დადგენილი წესით შეიმუშავდეს და დამტკიცდეს დებულება. ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული საბინაო-კომუნალური მეურნეობის სისტემაში სამეურნეო ანგარიშზე მათი მუშაობის ორგანიზაცია.

უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ კომბინატებში მეთოდური და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა განხორციელდეს სპორტული და სამედიცინო მუშაკთა ძალებით, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა უშუალო ხელმძღვანელობით.

საქართველოს სახმშენმა, საოლქო აღმასკომებმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ახალი მიკრორაიონების პროექტის შემუშავებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სპეციალურ ნაგებობათა მშენებლობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციისთვის. კატეგორიულად აიკრძალოს ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი ზონების შესაქმნელად გამოყოფილი მიწის ნაკვეთების სხვა დანიშნულებისთვის გამოყენება.

საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საბინაო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან შეიქმნას საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ბავშვთა და ახალგაზრდობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განყოფილება 5 საშტატო ერთეულის რაოდენობით, 2 პროცენტი ბინის ქირის ანარიცხისა და 5 პროცენტი კულტ-მასობრივი მუშაობის საარენდო ქირის ანგარიშზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გამოუყოს ზღვრული თანხების შესაბამისი ლიმიტი მათ შესანახად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს ევალება შექმნას საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობასთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის რესპუბლიკური ფედერაცია. ამ სამუშაოში უნდა ჩააბას სპორტის ვეტერანები, ცნობილი ქართველი სპორტსმენები. რეგულარულად მოაწყოს მათი შეხვედრები მოსახლეობასთან სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციისა და პროპაგანდის მიზნით.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტმა, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშაონ საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების პედაგოგ-ორგანიზატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ჩატარების გეგმა და მიიღონ აქტიური მონაწილეობა სემინარების, ლექციებისა და კონსულტაციების ჩატარებაში და ა. შ.

საქართველოს სსრ პროფსაბჭოს, ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, სამინისტროებს და უწყებებს, საზოგადოება „ცოდნის" გამგეობას ევალებათ მიიღონ აუცილებელი ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფართო მასების ფიზკულტურასა და სპორტში რეგულარული მეცადინეობებისთვის ადგილებზე ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობის აქტიურ გაშლას.

საქართველოს პროფსაბჭომ, ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა საბინაო საექსპლუატაციო კანტორებზე, სახლმმართველობებზე უნდა მიამაგროს საწარმოთა, დაწესებულებების, სასწავლებლების ფიზკულტურული ორგანიზაციები ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების შექმნის, ინვენტარითა და კოლექტიური სარგებლობის აღჭურვილობით, მეთოდური და ორგანიზაციულ-პროპაგანდისტული ლიტერატურით მომარაგების საქმეში საშეფო დახმარების გასაწევად.

1980-81 წლებში ჩატარდეს მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის რესპუბლიკური კონკურს-დათვალიერება (ერთ თვეში შემუშავდეს და დამტკიცდეს რესპუბლიკური კონკურს-დათვალიერების დებულება).

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტმა, კინემატოგრაფიის კომიტეტმა, საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის კომიტეტმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ და განაზოგადონ მუშაობის მოწინავე გამოცდილება საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში, უზრუნველყონ მასობრივი სპორტის განვითარების პრობლემებზე კინოქრონიკების, პლაკატების, ბროშურებისა და მეთოდური სახელმძღვანელოების გამოშვება.

# ჯანმრთელობის ბილიკებზე

დღეს ერთი ჭეშმარიტება ყველასათვის არის ცნობილი: თუ გინდა ჯანმრთელი და ხალისიანი იყო, უნდა ივარჯიშო.

ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ჩვენი დედაქალაქის მშრომელების მაგალითზე მშვენივრად ჩანს, განსაკუთრებით კი ამ ბოლო წლებში.

ახლა ქალაქის ქუჩებში, სანაპიროზე არც თუ იშვიათად შეხვდებით სპორტულ კოსტუმებში გამოწყობილ ახალგაზრდებს, საკმაოდ ხანში შესულებსაც კი. სტადიონებისა და იპოდრომის ბილიკებზეც არ იგრძნობა ვარჯიშის მოყვარულთა ნაკლებობა. ლისისა და კუს ტბა კი ჯანმრთელობის ნამდვილ კერებად იქცა. ვარჯიშობენ თითო-თითოდ, ორ-ორად, ათთხუთმეტკაციანი ჯგუფებიც კი ჩამოყალიბდა.

ვინ არიან ისინი?

დედაქალაქის მშრომელები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ყმაწვილები, 70 წელს მიტანებულნიც...

სარედაქციო ფოსტაში არც თუ იშვიათია წერილები, რომლებშიც ავტორები სწორედ ამ პრობლემებზე გვესაუბრებიან — რჩევას გვთხოვენ, საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებენ.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ სამ ასეთ წერილს. განსაკუთრებული მათში არაფერია. ავტორები მოგვითხრობენ თავიანთ თავზე, იმაზე, თუ როგორ დაიწყეს ვარჯიში, რა სიკეთე მოუტანა მათ ფიზიკურმა კულტურამ. ეს ყველაფერი ბევრი მკითხველისთვის ალბათ ნაცნობია, ზოგს გაუჩნდება კიდეც სათქმელი ვარჯიშის საკუთარ მეთოდებზე, მის ზეგავლენაზე. ბევრისთვის ეს წერილები იქნებ სპორტისკენ, ჯანმრთელობისკენ, სიხალისისა და სიმხნევისკენ პირველი ნაბიჯის გადადგმის საბაბადაც იქცეს. ჩვენი მიზანიც ეს ჰრის. რედაქცია სიამოვნებით გამოეპასუხება მკითხველთა ყოველ შენიშვნას, რჩევას თუ თხოვნას.

ველით თქვენს წერილებს.

• • •

შაბათს დაღლილი დავბრუნდი სამსახურიდან. ლიფტი არ მუშაობდა და ხუთი სართული სვენებ-სვენებით ავიარე. ზარის ღილაკს რომ დავაჭირე თითი, სულს ძლივსღა ვითქვამდი. სიცილი შემომესმა. მოვიხედე.

— რა გაცინებს, მერაბ? — ქოშინით გავეპასუხე მეზობელს.

— ასე რამ დაგღალა ახალგაზრდა ქალი, არ გრცხვენია?!

კიბეებმა-მეთქი, ანგარიშმიუცემლად ვუპასუხე.

— გინდა დაღლილობის წამალი გასწავლო? — მკითხა მერაბმა.

— გისმენთ.

— ხვალ კუს ტბაზე წამოდი, ოღონდ შვიდ საათზე უნდა ადგეთ, ქალბატონო. — პასუხი არ გამიცია.

კვირა დილით ზარმა გამაღვიძა. ჯერ ტელეფონი მეგონა, ვერ გამოვერკვიე. ზარი გამეორდა. კარებისკენ წავლასლასდი... ჩემს წინ მერაბი იდგა.

ჯერ კიდევ სანახევროდ მეძინა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. კუს ტბის გზას დავადექით. იქ კიდევ უფრო ციოდა.

გაკვირვებული ვიყურებოდი აქეთ-იქით, ხალხს ვათვალიერებდი...

ჩემი ყურადღება ერთმა ხანშიშესულმა კაცმა მიიპყრო — ძუნძულით დარბოდა ბილიკზე. ეს მაინც რაღამ ამოიყვანა, გავიფიქრე... დაველოდე. როგორც კი დასასვენებლად ჩამოჯდა, მივუახლოვდი და ვკითხე, არ იღლებით-მეთქი, ძია? გამიღიმა, მარჯვენათი ოფლი შეიმშრალა და მიპასუხა:

— სწორედ იმ შენს დაღლილობას ვებრძვი, შვილო. არ მახსენდება, რომელმა დიდმა კაცმა თქვა — ავადმყოფი ადამიანი ფასეულს ვერაფერს შექმნისო. მე ჩემი გზა კი გავიარე, მაგრამ სანამ ხარ, ჯანმრთელი უნდა იყო.

გამიხარდა, რომ მოსაუბრე ენაწყლიანი აღმოჩნდა. არ შევაწყვეტინე.

— ავად ვიყავი, 50 წლიდან დამრია ხელი ავადმყოფობამ. არადა, ჯეელობაში ვინ მაჯობებდა. ერთხელ ჩემმა ვაჟმა ამომიყვანა კუს ტბაზე მანქანით, დილის ცივი და სუფთა ჰაერი მოგიხდებაო. აქ ერთი ჩემი ძველი ნაცნობი ვნახე. თვითონ მიცნო.

— იურა, ბიჭო, მანქანით რომ ამოდიხარ, ფეხები ხომ არ მოუჭრიათ შენთვის. — ისე მხნედ გამოიყურებოდა, ვიფიქრე — მოხუცებულობაში რამ გაატარიელა-მეთქი.

— ვერა ვარ კარგად,— ვუთხარი,

— მერედა, შე კაცო, აგერ არაა ჯანმრთელობის ბილიკი? — და აი ის ბილიკი მიჩვენა, წეღან რომ დავრბოდი.

მას მერე აქ დავდივარ, მართალი გითხრათ, ოჯახიც გავახარე და მეც გავიხარე. სადღაა დაღლილობა. არც უბადრუკი სიძაბუნე მეკარება ახლოს. ჩემი დაბადების წელი რომ არ მახსოვდეს, თავს ახალგაზრდად ჩავთვლიდი.

გვარად კიკნაძე გამოდგა, ალექსანდრე. შინაურობაში იურას მეძახიანო.

— წადი ახლა და შენც ირბინე. მე ცოტას დავისვენებ და ისევ გავაგრძელებ, — მხიარულად მითხრა ძია იურამ.

გარშემო მიმოვიხედე, ბევრნი დარბოდნენ. მერაბის ხმა მომესმა — აქ სკამზე ჩამოსაჯდომად კი არ წამომიყვანიხარო. და მეც მივყევი...

მას შემდეგ კუს ტბის ხშირი სტუმარი ვარ. ახლა, შინ რომ ვბრუნდები, თუ ლიფტი მუშაობს, ხომ კარგი და, თუ არა — არც ამაზე ვდარდობ.

ნატა დადიანი.

* * *

„მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი"... — უთქვამს დიდ ილიას და ეს თერგის კი არა, ჩვენს მიმართ, ადამიანების მიმართ თქმული ჭეშმარიტებაა.

რამდენიმე წელი ძალიან ცუდად ვიყავი. ყველა ღონეს ვხმარობდი ჯანმრთელობის აღსადგენად. კეთილი ადამიანების რჩევით დავიწყე ვარჯიში „ლოკომოტივის" სტადიონზე და შედეგმაც არ დაიგვიანა— ჯანმრთელობა, ცხოვრების ყველაზე დიდი განძი, უკან დავიბრუნე.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო „ლოკომოტივის" სტადიონის ექიმს მერაბ თავდიშვილს, დირექტორს ოთარ მაისურაძეს, მწვრთნელებს: ჯუმბერ ხუბუასა და თენგიზ გელდიაშვილს იმ დიდი დახმარებისთვის, რომელიც მათ გამიწიეს ჯანმრთელობის აღსადგენად".

ე. ფილიშვილი.

* * *

„მალე 60 წელი შემისრულდება: 1952 წლამდე გულით ვიყავი ავად. მეგობრის რჩევით დავიწყე ვარჯიში. პირველად ათ წუთს ვვარჯიშობდი, ახლა კი ერთი საათით ვარ „დატვირთული".

ვარჯიშის დაწყების დღიდან თავს სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობ".

ვ. ნებიერიძე,

ზესტაფონის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი.

მკითხველმა უკვე იცის, რომ კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კაუნასის ტურში თბილისის „დინამომ“ სამი მატჩი მოიგო და ორი — „სტატიბასთან“ და „ჟალგირისთან“ წააგო. გთავაზობთ ამ ორი უკანასკნელი მატჩის ტექნიკურ შედეგებსა და ორ ინტერვიუს, რომელიც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა **ჯ. სვირელმა** „სტატიბას“ და „დინამოს“ მწვრთნელებს ჩამოართვა.

● ● ●

„დინამო“ — „სტატიბა“ 82:89 (36:52).

„დინამო“: ჯორჯიკია, ბიჭიაშვილი (6), ჩიხლაძე (12), ნ. ქორქია (6), დერიუგინი (37), გულდედავა (8), პულავსკი (9), სინჯარაძე (4).

„სტატიბა“: ვაიტკუსი (4), ბალოჩკა (8), პაშაკარნისი (16), ნარმონტასი (19), ანდრიუნასი (17), კაზლაუსკასი (2), გირსკისი (23).

მსაჯები: ს. კოპიტოვი (კიევი), ფ. მატკოვსკი (კიშინიოვი).

● ● ●

„დინამო“ — „ჟალგირისი“ 78:91 (37:41).

„დინამო“: ჯორჯიკია (4), ძიძიგური (2), ბიჭიაშვილი (2), ჩიხლაძე (10), ნ. ქორქია (17), დერიუგინი (29), გულდედავა (6), მილოვიდოვი (6), პულავსკი (2),

„ჟალგირისი“: ლინკიავიჩუსი (16), არლაუსკასი (4), მასალსკისი (4), ჩივილისი (18), ვასილიაუსკასი, ლაურიტენასი (5), ხომიჩუსი (16), ვალიკონისი, იოვაიშა (28).

მსაჯები: ს. კოპიტოვი (კიევი), ვ. ზაიცევი (მოსკოვი),

## ორი მწვრთნელის აზრი

„დინამო“ — „სტატიბას“ მატჩის დამთავრების შემდეგ ვილნიუსელთა მწვრთნელი **რ. ენდრიაიტისი** სიამოვნებით დათანხმდა ინტერვიუზე.

— კაუნასის ტური ჩვენთვის უიღბლოდ წარიმართა — დიდი ანგარიშით დავმარცხდით მინსკელებთან, წავაგეთ ვეფ-თანაც. ასე რომ, დინამოელებთან მატჩს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც იტყვიან, უკან დასახევი გზა აღარ იყო. წაგების შემთხვევაში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის ყოველგვარი იმედი გვეწურებოდა. ახლა, ამ თამაშის მოგების შემდეგ ჩემთვის ადვილია მსჯელობა, მით უფრო, რომ ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანეთ. ვიცოდი ერთი რამ, გამარჯვებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევდით, თუ მოვახერხებდით დერიუგინის გამოთიშვას, მართალია, თბილისელთა ცენტრმა 37 ქულა შესძინა კოლექტივს, მაგრამ მერწმუნეთ იგი მეტს გააკეთებდა, მასზე ორი, ხანდახან კი სამი მოთამაშეც რომ არ მიგვემაგრებინა. დინამოელთა ერთ-ერთ მცველს მუდამ თავისუფლად ვტოვებდით. მოგეხსენებათ, ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ხაფანგი გახლავთ — თავისუფალ მოთამაშეს ხელს არ ვუშლით სროლაში და თუ მას ტყორცნა „არ წაუვიდა“, უპირატესობა ჩვენს მხარეზეა. ასეც მოხდა. თბილისელმა მცველებმა თავდასხმაში ძალზე სუსტად ითამაშეს. პირადად ლევან მოსეშვილით მოხიბლული ვარ. ის შემადგენლობა, რომელიც ახლა დინამოელთა მწვრთნელს ჰყავს, მაქსიმუმს აკეთებს, გუნდის ხელმძღვანელი ბოლომდე წურავს იმ შესაძლებლობებს, რომელიც მას გააჩნია.



როდესაც **ლევან მოსეშვილი** „სტატიბას“ მწვრთნელის აზრს გაეცნო, თქვა:

— რა თქმა უნდა, მალე მივხვდით მეტოქის ჩანაფიქრს. ცხადზე ცხადი იყო „სტატიბას“ ტაქტიკური ვარიანტი, მაგრამ სამწუხაროდ, უძლური ვიყავი რამე მეღონა. მცველებს თამაში არ გამოუვიდათ, მათი შემცვლელი კი, ვლადიმერ ძიძიგური ავად იყო — სიცხე ჰქონდა. მცველთა ცუდი თამაში სხვა კოზირით უნდა დაგვეფარა, მაგრამ დერიუგინს ფხიზლად დარაჯობდნენ, ბიჭიაშვილიც ნატკენი ფეხით თამაშობდა. თუმცაღა ბიჭებმა თამაშში გარდატეხის შეტანა მაინც შეძლეს. 16 ქულით წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ მათ მოახერხეს 15 ქულის გაქვითვა (მეორე ტაიმის შუაგულში ანგარიში 65:66 იყო). ასე რომ, იმედი მთლად გადაწურული არა გვაქვს, დარწმუნებული ვარ, გუნდი ახლო მომავალში უკეთ ითამაშებს.

* * *

სურათზე: ვილნიუსელი ვაიტკუსი თბილისელთა გარემოცვაში.

ტ. ვასილიაუსკასის ფოტო.

# ექვსეულის კონტურები იკვეთება



**სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატი**

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა კიევის ტურის წინ

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 16 | 0 | 1688—1195 | 32 |
| „დინ.“ მ. | 11 | 5 | 1686—1552 | 27 |
| „ჟალგირ.“ | 11 | 5 | 1453—1405 | 27 |
| ასკ კიევი | 10 | 6 | 1682—1566 | 26 |
| „სპარტაკი“ | 10 | 6 | 1334—1268 | 26 |
| „დინ.“ თბ. | 9 | 7 | 1334—1397 | 25 |
| „სტატიბა“ | 8 | 8 | 1439—1475 | 24 |
| ვეფ-ი | 7 | 9 | 1542—1511 | 23 |
| რტი | 4 | 12 | 1395—1434 | 20 |
| „სტროიტ.“ | 4 | 12 | 1382—1467 | 20 |
| „კალევი“ | 4 | 12 | 1309—1401 | 20 |
| „ლოკომ.“ | 2 | 14 | 1345—1758 | 18 |

11-17 თებერვალს კიევში თორმეტივე გუნდი ისევ ერთად შეიკრიბება. კაუნასის ჯგუფის მონაწილე კოლექტივები შეხვდებიან ლენინგრადის ტურის გუნდებს. კიევშივე გაირკვევა იმ 6 კოლექტივის ვინაობა, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას.

პირველი ექვსეულისთვის მებრძოლ კოლექტივებს შორის თბილისის „დინამოც“ არის. დინამოელთა ძირითადი მეტოქეები — კიევის ასკ, ლენინგრადის „სპარტაკი“, ვილნიუსის „სტატიბა“ და რიგის ვეფ-ი იქნებიან. უფრო კონკრეტულად კი მეექვსე ადგილისთვის მთავარი ბრძოლა „დინამოსა“ და „სტატიბას“ შორის გაიმართება. ორივე გუნდს 6-6 მატჩი დარჩათ ჩასატარებელი ერთი და იგივე კოლექტივებთან.

●

**კალათბურთელ** ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ლენინგრადის ტურის ბოლო დღის მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 64:60 (28:33), „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) — ასკ (კიევი) 113:128 (55:63), „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“ (ტალინი) 100:84 (48:37).

● თავისუფალი ჭიდაობა ● საქართველო — აშშ ●

# ამჯერად—მატჩი

**გუშინწინ** თბილისის სპორტის სასახლე კვლავ მასპინძლობდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს, ამჯერად, აშშ-ისა და საქართველოს ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრის მონაწილეებს.

48 კგ წონით კატეგორიაში პირისპირ დადგნენ თბილისის ტრადიციული XIX საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი— ნ. ჯაფაროვი და ამერიკელი ბ. როზადო. ტურნირში კენჭისყრით ისინი ერთმანეთს ვერ შეხვდნენ: ამერიკელი მეორე წრეში გამოეთიშა შეჯიბრებას. ჯაფაროვი არ შეუშინდა მეტოქის ტიტულებს (როზადო ქვეყნის ჩემპიონია და პანამერიკული თამაშების პრიზიორი) და მედგრად შეუტია. როზადო, უკვე მე-4 წუთზე წმინდად დამარცხდა.

ჯ. მილზს (52 კგ) თბილისის ტურნირის აღმოჩენად მიიჩნევენ სპეციალისტები. ეს მან ა. სულაქველიძესთან შეხვედრაშიც დაამტკიცა — 2 წუთსა და 35 წამში საქმე მოთავებული ჰქონდა.

მ. მუზიაშვილმა (57 კგ) 7 წუთი და 50 წამი გაუძლო ჯ. კორსოს შეტევებს და საბოლოოდ დამარცხდა.

გ. მაკასარაშვილმა (74 კგ) ბ. შულცე თბილისის საერთაშორისო ტურნირში წმინდად დაამარცხა, ამიტომ ამერიკელი ფრთხილობდა, თუმცა ქულებით წაგებას მაინც ვერ გადაურჩა.

82 კგ წონით კატეგორიაშიც „ძველი მეტოქეები“ თ. საჯაია და დ. შულერი შეხვდნენ ერთმანეთს. საჯაიას უპირატესობა აშკარა იყო — 10:1. ამავე წონაში კ. კრისმა რევანში აიღო თანაგუნდელის დამარცხებისთვის — მოუგო სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს ვ. მარშანიას.

გ. ყურაშვილი (90 კგ) ამ დღეს მე-18 საერთაშორისო შეხვედრას ატარებდა რ. ბეიკერთან და მე-17 გამარჯვება იზეიმა, თანაც ქულებში სხვაობა (18:2) ერთობ შთამბეჭდავი იყო.

ლ. ბილენბერგი (100 კგ) ვერ შეხვდა ლ. თედიაშვილს თბილისის საერთაშორისო ტურნირში, ამჯერად კი ქულებით დამარცხებას შეურიგდა სახელოვან ქართველ ფალავანთან. მ. მერმანიშვილმა ფ. ბონასთან ჭიდაობა თავიდან უხეიროდ დაიწყო, მაგრამ შემდეგ გააქტიურდა და 8 წუთსა და 17 წამში წმინდად გაიმარჯვა.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 6:3 დაამარცხა ამერიკელთა გუნდი.

ა. ცეხანელი.





სურათებზე: ყურაშვილ — ბეიკერისა (მარცხნივ) და მერმანიშვილი — ბონას შეხვედრათა მომენტები.

● ფეხბურთი ●

# ებრძვიან უხეშობას

**იყო დრო,** როცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ერთგვარი ანტაგონისტური დამოკიდებულება ჰქონდა ოფიციალური მატჩების ტელეჩანაწერების მიმართ. ფიფა სარწმუნოდ არ ცნობდა ტელე და კინოდოკუმენტაციას, მიაჩნდა, რომ ერთადერთ ამოსავალ წყაროს ფეხბურთში წარმოადგენს მსაჯის უშუალო გადაწყვეტილება, რომლის აპელაცია არ შეუძლია არავის, არც ერთ შემთხვევაში, თუნდაც დაზარალებულ მხარეს მისი საწინააღმდეგო მასალებიც ჰქონოდა.

მაგრამ ბოლო ხანებში ფიფა-ს პოზიცია აღნიშნული საკითხის მიმართ შეიცვალა. ფეხბურთის ეს უმაღლესი ორგანო შედარებით უფრო ლოიალური გახდა და პირი იბრუნა ტელეაპარატის ობიექტივისადმი, რომელიც სადავო სიტუაციებში მართლაც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მამხილებელი მასალა, დამამტკიცებელი საბუთი (ლაპარაკია მოთამაშეთა იმ უხეშობაზე, რომელსაც ისინი სჩადიან მსაჯების ნამალავად, მათს ზურგს უკან და, ამდენად, შეუმჩნეველნი, დაუსჯელნი რჩებიან ხოლმე), რაც შეეხება „თამაშგარე მდგომარეობას“, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი, იყო პენალტი თუ არა და სხვა ამგვარი წმინდა სათამაშო ვითარებები, მათი ფიქსირება კვლავინდებურად მთლიანად მსაჯთა კომპეტენციაში შედის და ვერავითარი აპარატი ვერ შეცვლის არბიტრის მიერ მინდორზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

ფიფა-მ აღიარა, რომ სატელევიზიო ვიდეოჩანაწერი ან მატჩის ფილმი შეიძლება უცილო არგუმენტად იქნას მიღებული, თუ მსაჯმა ვერ შეამჩნია ფეხბურთელის უხეშობა. ამას გარდა, სათანადო სანქციების მიღება შეიძლება მატჩის შემდეგ რამდენიმე ხნის გავლის მერეც.

მართალია, ფიფა-ს ხელმძღვანელობა იოლად არ წასულა ამ დათმობაზე. საჭირო გახდა მრავალი ექსპერიმენტის ჩატარება. გადაიღეს ათასობით მეტრი ფირი, პრაქტიკულად შეამოწმეს სხვადასხვა შემთხვევები გფრ-ში, ინგლისში, ბელგიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში.

ერთი სიტყვით, ტელევიზიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი საფეხბურთო დისციპლინარულ პრაქტიკაში როგორც უტყუარმა საბუთმა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნას სანქციების გამოსატანად ცალკეული მოთამაშეების ან მთელი გუნდის მიმართ.

უწინ როგორ იყო? თუ მსაჯი ვერ შეამჩნევდა ფეხბურთელის მიერ ჩადენილ უხეშობას, მრავალსერიიანი ფილმიც რომ გადაეღოთ ამ ინციდენტზე, სასჯელის გამოსატან არგუმენტად მას ვერც ერთ ინსტანციაში ვერ გამოიყენებდნენ.

ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა, ინგლისელმა სტენლი როუზმა ფეხბურთის დარღვევათა საქმეში ტელევიზიის გამოყენების საკითხზე ერთხელ ასეთი განცხადება გააკეთა: „სატელევიზიო კამერებს არ ძალუძთ მოვლენები აღიქვან პერსპექტიულად, სამივე განზომილებაში, შეცდომები გარდაუვალია. ამას გარდა, ყველამ, ვინც ფეხბურთს თამაშობს, იცის, რომ მსაჯთა უფლებამოსილება და რწმუნებები განსაზღვრულია თამაშის ინტერესებით, თანაც მათი ესა თუ ის შეცდომა შედის, როგორც შესაძლო ამბავი, ამ ინტერესების სფეროში“.

ერთი სიტყვით, ს. როუზის პოზიცია კატეგორიულად უარყოფდა „გარეშე“ ტექნიკის ჩარევის ყოველგვარ შესაძლებლობას არბიტრის კომპეტენციაში და დასაშვებად მიიჩნევდა ამ უკანასკნელის სავარაუდო შეცდომებს.

მაგრამ ს. როუზი ბუნებით კონსერვატორი კაცი გახლდათ, ცხოვრება კი წინ მიდის. ფიფა-ს ახალმა ხელმძღვანელობამ, როგორც ვთქვით, საკმარისზე მეტი ექსპერიმენტი მოაწყო, მრავალ მასალას მოუყარა თავი, როცა წესრიგის დარღვევის უხეშ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი მსაჯის ნამალავად და საერთო სამსჯავროზე გამოიტანა საკითხი. კომპეტენტურმა პირებმა ეკრანზე ნახეს როგორ იხულიგნა გფრ-ის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში „ჰამბურგსა“ და „ბორუსიას“ შორის ჰამბურგელმა მაგატმა ვოლერსის მიმართ, მან „ხურდა“ დაუბრუნა მეტოქეს. მსაჯმა შენიშნა ინციდენტის ბოლო ნაწილი, ვოლერსი მინდვრიდან გააძევა, მაგატი კი დაუსჯელი დატოვა, თუმცა ჩხუბის ინიციატორი სწორედ მაგატი იყო. ანალოგიური ამბავი მრავლად აჩვენეს ეკრანზე, დამსწრენი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ამ შემთხვევაში ტელევიზია დახმარებას, მხოლოდ შემწეობას უწევს ფეხბურთის დისციპლინარულ ორგანოებს უხეშობასთან ბრძოლაში და ამიტომ მისი პრაქტიკული დახმარების გამოყენება ფიფა-ს უშუალო მოვალეობას წარმოადგენს.

გადაწყდა: სატელევიზიო ვიდეოჩანაწერი მამხილებელ საბუთად იქნას მიჩნეული წესრიგის დარღვევათა განხილვის შემთხვევაში. უმრავლესი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებმა მხარი დაუჭირეს დადგენილებას.

ამას გარდა ბოლო ხანებში კიდევ ეძებენ სიახლეებს, რომლებიც მიზნად ისახავენ უხეშობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საშუალებებს. მაგალითად, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ამას წინათ დაადგინა გააუქმოს ყვითელი და წითელი ბარათები, რომლებსაც მსაჯები მიმართავენ დამნაშავე მოთამაშეთა მიმართ. აქ ირწმუნებიან, რომ ბარათების ეს სისტემა ხელს არ უწყობს უხეშობის აღკვეთას საფეხბურთო მინდვრებზე და პრაქტიკულად გამოდის, რომ ფეხბურთელს მინდვრიდან უშუალოდ კი არ აძევებენ, როცა ეს საჭიროა ხოლმე, არამედ თავდაპირველად აფრთხილებენ.

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ახსნა-განმარტებითი წერილში ნათქვამია, რომ უხეშობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად უნდა იქცეს იმ „ბიუროკრატიის“ ლიკვიდირება, რომელიც თან სდევს „ყვითელი“ და „წითელი“ ბარათების სისტემას, რომ საჭიროა დავუბრუნდეთ იმ წესს, როცა მსაჯი ყოველგვარი კომპრომისის გარეშე აძევებდა ხოლმე წესრიგის დამრღვევ ფეხბურთელს მინდვრიდან.

ამ გადაწყვეტილებამ სხვადასხვაგვარი რეაქცია ჰპოვა საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში. პარიზის „ფრანს ფუტბოლი“ და ლონდონის „უორლდ სოკერი“ მხარს უჭერენ ბრაზილიელებს და თავიანთ მხრივაც დასძენენ, რომ სისტემა აშკარა პაროდიას წარმოადგენს.

ფიფა-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ს. როუზმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საჯარიმო ბარათების გამოყენება პრაქტიკაში საჭიროა მხოლოდ საერთაშორისო მატჩების ჩატარებისას, როცა მოთამაშეებს და არბიტრს არ ესმით ერთმანეთის ენა, ხოლო ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში მსაჯს ეს სრულიადაც არ ესაჭიროება, ფეხბურთელებთან სათანადო კონტაქტის დასამყარებლად.

ასეა თუ ისე, ნათელია, რომ საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში ენერგიულად ცდილობენ ეფექტური საშუალებები გამოძებნონ უხეშობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რ. ქორიძე.

# მოკლედ

**მექსიკაში** ორი მატჩი გამართა ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა გუნდმა. ქალაქ ლეონში ჩეხოსლოვაკიელებმა წააგეს მექსიკის ნაკრებთან — 0:1, ხოლო პუებლოში დაამარცხეს ქვეყნის ახალგაზრდული გუნდი— 3:2. ჩეხოსლოვაკიელი ოლიმპიელები ემზადებიან გადამწყვეტი შეხვედრისათვის უნგრეთის გუნდთან, რომელიც პრაღაში 13 აპრილს შედგება. გამარჯვებული გუნდი მოსკოვის ოლიმპიადის საგზურს მიიღებს.

**კოლუმბიაში** გრძელდება 7 სამხრეთამერიკული გუნდის შესარჩევი ტურნირი „ოლიმპიადა 80“-ის ორი საგზურისთვის. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა პერუსა და ბრაზილიის ფეხბურთელების შეხვედრა. დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს პერუელებმა— 3:0. ტურნირის მასპინძლებმა — კოლუმბიელებმა წააგეს ვენესუელის გუნდთან — 0:1. ტურნირი 15 თებერვლამდე გაგრძელდება.

● ფეხბურთი ●

## თქვენ რას გვირჩევთ, მკითხველო?

# გიწვევთ დაუსწრებელ კონფერენციაზე

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც დადგა 1980 წელი, ჩვენი საუკუნის ბოლოსწინა ათწლეული, X ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. იგი აღსანიშნავია იმითაც, რომ წელს, პირველად სპორტის ისტორიაში, ოლიმპიური თამაშები ტარდება სოციალისტური ქვეყნის დედაქალაქში, მოსკოვში.

ახალი წელი ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, მათთან ერთად ფიზკულტურელებს და სპორტსმენებს. შესაბამისად იზრდება ჩვენი გაზეთის წინაშე დასმულ ამოცანათა მოცულობა და მნიშვნელობა.

ამის შესახებ უკვე ვესაუბრეთ ჩვენს მკითხველებს „ლელოს" 24 იანვრის ნომერში დასტამბულ წერილში — „თქვენ რას გვირჩევთ, მკითხველო?", რომლებსაც რედაქცია თხოვს დაუსწრებელ კონფერენციაში მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ კონფერენცია ეწყობა 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე. მოგმართავთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი სპორტის სახელი და დიდება, ვინც მეგობრობს გაზეთ „ლელოს", აქტიურად ჩაებათ ჩვენს დაუსწრებელ კონფერენციაში, მოგვწეროთ, რა იყო შარშან თქვენთვის მოსაწონი ჩვენს გაზეთში და რა არა, როგორი იყო მისი თემატიკა და ა. შ. შეგვატყობინეთ თქვენი სურვილები, მოსაზრებანი, წინადადებანი, რომლებიც დიდად შეგვიწყობს ხელს უფრო საინტერესო და შინაარსიანი, საქმიანი და მიმზიდველი გახდეს „ლელო".

წერილები გამოგზავნეთ მისამართით: 380096. თბილისი — 96, ლენინის ქუჩა № 14. „ლელოს" რედაქცია. „მკითხველთა კონფერენციისთვის".

### ● სვერდლოვსკის ტრამპლინზე და საციგაო ტრასებზე

**19 წლის** ლენინგრადელმა არმიელმა ა. შაკიროვმა გაიმარჯვა სვერდლოვსკში გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატში 70-მეტრიან ტრამპლინზე — 244,2 ქულა. გასული წლის ჩემპიონი, გორკელი ა. ბოროვიტინი II ადგილზე გამოვიდა — 244,1. III შედეგი ჰქონდა ლენინგრადელ ვ. ვლასოვს — 232,9.

სვერდლოვსკში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე ტური საციგაო სპორტში. ერთადგილიან ციგებზე ქალთა შორის საუკეთესო იყო რიგელი ი. ამანტოვა — 1 წუთი და 42,418 წამი. ვაჟებში ამ სახეობაში იმარჯვა ლატვიელმა ი. ეისაკსმა — 2.15,257.

ორადგილიანი ციგებით მოასპარეზეთა შორის გაიმარჯვეს რიგელებმა დ. ბრემზემ და ა. კრიკისმა — 1.08,052. გამარჯვე-



ბულები ლიდერობენ ქვეყნის ჩემპიონატს ორი ტურის ჯამშიც — 109 ქულა. ამდენივე ქულა (ცალ-ცალკე) მოაგროვეს ერთადგილიან ციგებზე რიგელებმა ა. რიბენამ და ამანტოვამ.

ვაჟებში ერთადგილიან ციგებზე შეჯიბრებას ლიდერობს ი. ეისაკსი — 92 ქულა.

ჩემპიონატის მესამე, დასკვნითი ტური გაიმართება ამავე ტრასაზე მარტის დამდეგს.

### ● ჩოგბურთი

### მხოლოდ მესამე ადგილისთვის

**საბჭოთა** ჩოგბურთელებმა „სამეფო თასის" გათამაშებაში — კონტინენტის ზამთრის არაოფიციალურ გუნდურ ტურნირში — თავიანთ ქვეჯგუფში ავსტრიელებთან ბოლო შეხვედრის წაგების მიუხედავად II ადგილი დაიკავეს. ვენის დახურულ კორტებზე ა. ზვერევმა წააგო რ. რაინინგერთან — 2:6, 6:3, 6:7. ვ. ბორისოვმა — პ. ფაიგლისთან — 3:6, 6:2, 3:6. წყვილთა შეხვედრაში ბორისოვმა და თ. კაკულიამ სძლიეს ფაიგლისა და ჰ. ტიგლერს —7:6, 6:4.

ახლა საბჭოთა სპორტსმენები საბოლოო III ადგილისთვის შეხვდებიან მეორე ქვეჯგუფში II ადგილზე გასულ გფრ-ის გუნდს. პირველობისთვის კი უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები ითამაშებენ.

### ● ფეხბურთი

### „დინამო" შეხვდება „ბენფიკას"

**მოსკოვის** „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი გუშინ გაემგზავრა ლისაბონს, სადაც ხუთშაბათს ამხანაგურ მატჩში შეხვდება ადგილობრივ „ბენფიკას".

ეს მატჩი მიეძღვნება შესანიშნავი პორტუგალიელი ფეხბურთელის ვიტორ მარტინშის სპორტიდან გაცილებას. იგი „ბენფიკას" შემადგენლობაში გამოდიოდა 14 წლის მანძილზე, თამაშობდა პორტუგალიის ნაკრებში.

# ორი ლიდერი

**რიგა, 29 იანვარი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატში IV ტურის შეხვედრები გაიმართა. დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ ორი პარტია. ერთი მათგანია მ. ჩიბურდანიძე — ბ. გავრიკოვი (მოლდავეთი). ამ პარტიაში გათამაშებულ სიცილიურ დაცვაში დიდოსტატმა ქალმა ხარისხი შესწირა და მოგების შესაძლებლობა მიიღო, მაგრამ მოლდაველი ოსტატი ძალიან აქტიურად იცავდა თავს, პაიკიც დათმო და ახლა შეწყვეტილ პოზიციაში ყაიმია მოსალოდნელი.

ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ზ. აზმაიფარაშვილმა. რიგელ ზ. ლანკასთან მან თავიდან უარესი პოზიცია მიიღო, მაგრამ მერე შეძლო ცენტრის გარღვევა და ინიციატივას დაეუფლა. პაიკის დაკარგვის შემდეგ რიგელმა ოსტატმა კიდევ ცოტა ხანს ითამაშა და 41-ე სვლაზე ფარხმალი დაყარა.

ი. პოლოვოდინმა (ლენინგრადი) სძლია ლ. იურტაევს (ფრუნზე), ყაიმზე შეთანხმდნენ ს. ლპუტიან (ერევანი) — ა. ხარიტონოვი (გორკი), ლ. ფსახისი (რსფსრ)— ა. ივანოვი (ლენინგრადი), ე. მაგერამოვი (ბაქო) — ზ. ეინგორნი (რიგა) და [illegible] (რიგა) — გ. ზაიჩიკი (თბილისი). ამ უკანასკნელ პარტიაში მეტოქეებმა ახალინდური დაცვა გაითამაშეს და 27-ე სვლაზე სვლების გამეორება დაიწყეს.

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ ზ. აზმაიფარაშვილი, ე. კენგისი — 3-3 ქულა, ლ. ფსახისი, ზ. ეინგორნი, ა. ხარიტონოვი — 2,5-2,5.

გ. ზაიჩიკს 1,5 ქულა აქვს, მ. ჩიბურდანიძეს — 0,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

### ● ჭადრაკი

# „მერანი" — წყალტუბოში



**წყალტუბოს** ჭადრაკის მოყვარულებს ოცნება აუხდათ — კურორტზე გაიხსნა საჭადრაკო კლუბი, რომელსაც „მერანი" უწოდეს.

კლუბის ვრცელი ხუთი ოთახი აღჭურვილია თანამედროვე ავეჯით, აუცილებელი საჭადრაკო ინვენტარით. კლუბს გააჩნია საჭადრაკო ლიტერატურა, კარტოთეკა.

ერთ-ერთ ოთახში მოწყობილია ფოტოგამოფენა, რომელშიც წარმოდგენილი არიან ცნობილი დიდოსტატები, სსრ კავშირისა და საქართველოს ჩემპიონები.

კლუბთან გაიხსნა ბავშვთა საჭადრაკო სკოლა „მერანი", რომელსაც სპორტის ოსტატი ჯ. ბერაძე ხელმძღვანელობს. სკოლაში 50-ზე მეტი ყმაწვილი და გოგონა ეუფლება ჭადრაკის საიდუმლოებას.

კლუბს შეფობას უწევენ საქართველოს საჭადრაკო ფედერაცია, ჭადრაკის სასახლე და ცნობილი მოჭადრაკეები.

**სურათებზე:** ნორჩ მოჭადრაკეებს მეცადინეობას უტარებს ოსტატი ჯ. ბერაძე; ნორჩი მოჭადრაკე ირმა თუთბერიძე.

**გ. გერსამიას ფოტო.**
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



## ჩემპიონატები, მატჩები, სიახლეები

### ინგლისი

ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ თანდათან ასწორებს თავის სატურნირო მდგომარეობას ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი — „ნოტინგემ ფორესტი", ერთპიროვნული ლიდერი „ლივერპული" კი 29 სექტემბრის შემდეგ ჩემპიონატში პირველად დამარცხდა. იგი XXVI ტურში ქ. კოვენტრიში შეხვდა ადგილობრივ „კოვენტრი სიტის". მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მასპინძლებმა გაიტანეს. „ნოტინგემ ფორესტმა" ლიდსში მოუგო „ლიდს იუნაიტედს" — 2:1.

სხვა მატჩები: „არსენალი" — „დერბი ქაუნთი" 2:0, „ბრაიტონ ალბიონი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 0:2, „ბრისტოლ სიტი" — „იფსვიჩ თაუნი" — 0:3, „კრისტალ პალასი" — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" 1:0, „საუთჰემპტონი" — „მანჩესტერ სიტი" 4:1. რამდენიმე მატჩი გადაიდო უამინდობის გამო.

კვლავინდებურად წინაა „ლივერპული" — 35 ქულა 24 მატჩიდან, „მანჩესტერ იუნაიტედს" ამდენივე თამაშის შემდეგ 33 ქულა აქვს. მესამე ადგილზეა „არსენალი" — 30 ქულა 26 მატჩის შემდეგ.

### გფრ

განახლდა ბუნდესლიგის პირველობა. ამავე დროს გამოცხადდა, რომ ზებეცმა და ნეცერმა გააგრძელეს კონტრაქტი „ჰამბურგერ შპორტფერაინთან".

მეორე წრის პირველივე ტურში ლიდერი შეიცვალა, ვინაიდან დებიუტანტმა „ბაიერმა" (ლევერკუზენი) თავის მინდორზე მარცხი აგემა მიუნხენის „ბაიერნს" — 1:0, „ჰამბურგერ შპორტფერაინმა" კი შინ ანგარიშით 3:1 მოუგო „ბოხუმს".

XVIII ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „შტუტგარტი" — „დუისბურგი" 2:0, „ბაიერი" (იურდინგენი) — „ვერდერი" (ბრემენი) 2:0, „მიუნხენი 1860" — „კიოლნი" 1:1, „ბორუსია" (დორტმუნდი) — „აინტრაჰტი" (მაინის ფრანკფურტი) 0:1, „ფორტუნა" (დიუსელდორფი) — „კაიზერსლაუტერნი" 6:1, „აინტრაჰტი" (ბრაუნშვაიგი) — „ჰერტა" (დას. ბერლინი) 3:1, „შალკე 04" (გელზენკირხენი) — „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) 1:0.

XVIII ტურის შემდეგ „ჰამბურგერ შპორტფერაინს" 25 ქულა აქვს, „ბაიერნს" — 24, „კიოლნს" —23, „აინტრაჰტს" (მაინის ფრანკფურტი), „ბორუსიას" (დორტმუნდი) და „შალკე 04"-ს — 22-22 ქულა.

### იტალია

XVII ტურში „ინტერმა" კიდევ უფრო განიმტკიცა წამყვანი მდგომარეობა: მან შინ სძლია „უდინეზეს" — 2:1, მეორე ადგილზე მყოფი „მილანი" კი სტუმრად დამარცხდა (0:1), „აველინოსთან".

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „ასკოლი" — „ტორინო" 1:0, „კალიარი" — „ნაპოლი" 1:0, „ფიორენტინა" — „ლაციო" 0:0, „იუვენტუსი" — „კატანძარო" 1:0, „რომა" — „პესკარა" 2:0, „პერუჯა" — „ბოლონია" 1:1.

XVII ტურის შემდეგ „ინტერს" 25 ქულა აქვს, „მილანს" — 20, „რომას" — 19, „კალიარის", „პერუჯასა" და „აველინოს" —18-18 ქულა და ა. შ.

### ესპანეთი

ორი გუნდი საგრძნობლად დაწინაურდა: „რეალი" (მადრიდი) და „რეალი" (სან-სებასტიანი). მადრიდელებს, რომლებმაც შინ სძლიეს „ლას-პალმასს" — 3:1, XVI ტურის შემდეგ 26 ქულა აქვთ. სან-სებასტიანის „რეალმა" შინ ანგარიშით 2:0 მოუგო „სევილიას" და 25 ქულა მოაგროვა. მესამე ადგილზე მყოფ „სპორტინგს" (ხიხონი), რომელმაც დაამარცხა „მალაგა"—2:0, მხოლოდ 21 ქულა გააჩნია.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

●

### ბეკენბაუერის უარი

ფრანც ბეკენბაუერს, რომელიც უახლოეს მომავალში აპირებს „კოსმოსის" დატოვებას და სამშობლოში დაბრუნებას, არ სურს ბუნდესლიგაში თამაში. მას სამხრეთ საფრანგეთში უნდა წასვლა და ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას ნიცისა და მონაკოს კლუბებთან.

### ერედიასაც უშვებენ

„ფკ ბარსელონას" ხელმძღვანელობას ავსტრიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის ჰ. კრანკლის გარდა სურს გუნდიდან გაუშვას არგენტინელი ხუან კარლოს ერედიაც. თავიანთ კლუბებში გამოსვლა ამ უკანასკნელს უკვე შესთავაზეს „რივერ პლეიტმა" და „მილანმა".

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 02035